

# ლიცენზირებული საშუალო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება  
№9, 3 ოქტომბერი, ორშაბათი, 2022 წელი

 ერთი ლექსი

...და საქართველოც გაგვეცევა საქართველოდან...

თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,  
კვლავ უპატრონოდ თუ დარჩება ჩვენი ტაძარი, –  
გაგვეცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები,  
და, სამუდამოდ მიეყრება კერას ნაცარი...  
მათხოვრობისთვის განწირულნი, ნაშიმშილევნი,  
დავრდომილები მიმოდინან ირგვლივ ქვითინით...  
გაგვეცევიან ჩვენ აქედან ჩვენი შვილები  
და გაგვეცევა სიცოცხლე და მოვა სიკვდილი!..  
ცად აღვლენილი სავედრებლად მტკივა ხელები,  
დახაზულია ცის გუმბათი სისხლის ღარებით,  
გაგვეცევიან ტყეები და მდინარეები,  
გაგვეცევიან ახოები, ზვრები, ყანები!..  
გაგვეცევიან მეზვრენი და მევენახენი,  
გაგვეცევიან მეგუთნენი, დურგალ-ხარატნი  
და, რაც აშენდა საუკუნოდ ერის სახელით,  
თავს დაგვემხოვა შინაური მტრების ღალატით!  
თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,  
თუ არ მოვიდა გმირი, ერი ვისაც ელოდა, –  
გაგვეცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები,  
და საქართველოც გაგვეცევა საქართველოდან!

ფხტანგ ხაჩიკოვ





# ახალი წიგნი



21-ე საუკუნის ციფრულ ეპოქაში, როცა თითქმის ნებისმიერი ფორმატისა და შინაარსის ნაწარმოები, მათ შორის, მხატვრული ლიტერატურაც, კომპიუტერის კლავიატურით იწერება, როცა ფურცლისა და საწერ-კალმის საკრალური კავშირი უკვე დროის ფუჭად ფლანგვად მოიხარება, ამა თუ იმ ნაშრომს თითქოს აღარც ის განსხვავებული სურნელი აქვს და არც სული, რომლითაც იგი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ისე მიენოვება მკითხველს. სწორედ ამიტომ იწერება დღეს ერთნაირი შინაარსისა და ყაიდის წიგნები. იშვიათად, რომ ავტორის საკუთარი ხელწერა, საკუთარი განცდები და აზროვნება ჩანდეს მათში.

ეკატერინე ლაცაბიძის „ადვოკატის ჩანაწერები“ ის გამონაკლისია, სადაც ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანების განსხვავებული ტკივილები და განცდები მაქსიმუმად აყვანილი გულწრფელობითა და ექსპრესიით, გაცვეთილ, ე. წ. გადამღერებას მოკლებული ემოციებით მკითხველის სულსა და გონებას ერთდროულად იპყრობს. წიგნში მოთხრობილ ამბებს რეალური გმირები ჰყავს, რომელთა ნებისთ თუ უნებლიედ მცდარად გადადგმული ნაბიჯების სევდიან ისტორიებს, მათი სულის ლაბირინთებში გაბნეულ ბნელ და ნათელ მხარეებს იურისტის პროფესიონალიზმთან შერწყმული გონიერებით, შეუღლებული სიზუსტით გადმოსცემს ავტორი.

ეკატერინე ლაცაბიძის, როგორც ადვოკატის პროფესიონალიზმზე არაერთხელ თქმულა სპეციალისტების შეფასება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იგი იურისტის განათლებას ფილოლოგიურ ნიჭსაც თანაბრად უთავსებს. გამართული სალიტერატურო ენით დაწერილი ეს წიგნი (უმნიშვნელო შეცდომებით) მწერლობის მოსურნეთათვის ნამდვილად გამოდგება ნიმუშად იმისა, თუ რას ნიშნავს ანალიტიკურ აზროვნებასთან შერწყმული წერის კულტურა და მშობლიური ენის მოფრთხილება.

## თენგი

### (დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა)

გამხდარია. 35 წლის. წელში ოდნავ მოხრილი. თვალის ქუთუთოები იმდენად შეშუპებულია, გამოხედვა უჭირს. თითქმის ძლივს მამჩნევს.

სწრაფად ვეცნობი და მაშინვე პროფესიულ საუბარზე გადავდივარ: – თქვენი საქმე საკმაოდ მყარად აქვს შეკრული ბრალდების მხარეს. პროცესი, როგორც გავარკვიე, უკვე განხილვის იმ ეტაპზეა, მხოლოდ საბოლოო სიტყვის წარმოთქმა მომინევს. არ დაგიმალავთ, რომ ადვოკატის ჩართვა დაგვიანებულია. გასაკვირია, რომ აქამდე არავინ იზრუნა ამაზე, მაგრამ დაცვის გარეშე ყოფნას, მაინც სჯობს, თქვენი სამართლებრივი ინტერესი ახლა მაინც წარმოადგინოს ვინმემ. აბა, რას ფიქრობთ. რამეს ხომ არ მეტყვიან?

თენგი ფიქრებით სადღაც შორს უნდა იყოს. არაფრისმთქმელი გამომეტყველება აუკრავს სახეზე. თითქოს არც გისმენსო. ზემოთ, სივრცეში მიშტერებია ერთ, რომელიღაც წერტილს.

– შეგიძლიათ, სარეცხი საშუალება შემომიგზავნოთ? – ამბობს რამდენიმეწუთიანი პაუზის შემდეგ ხმადაბლა და ყრუდ ახველებს.

– ?! – მე... ძალიან მეუხერხულება. თქვენ... თქვენ არ შეგანუხებდით... ვინმე ახლობელი რომ მყავდეს... ვინმე ისეთი, ვისაც ვთხოვდი... ბიჭები საკანში არაფერს ინანებენ, მაგრამ უკვე მერიდება. უსუფთაოდ ყოფნა არ მიყვარს, ჩემი სამოსის ყოველდღე გარეცხვა მინევს... და... ხომ ხვდებით!

ნუთუ, ამისთვის მოვედი აქ?! არც კი ვიცი, რა ვუპასუხო. ვდგავარ და გაცხელებული ვათვალისწინებ კაცს, რომელსაც არ აინტერესებს, რა იქნება ხვალ მის სასამართლო პროცესზე; კაცს, რომელსაც ახლობელი არავინ დარჩენია და, ერთადერთი, რაც ამ „ჯურღმულში“ სურს, ამ ყველაფრისგან თავის დაღწევაზე ზრუნვა კი არა, უბრალო სარეცხის ფხვნილია, აქაც, ყოველდღე სუფთა სამოსით რომ იარსებოს.

ადვილი მისახვედრია, თენგოსთვის განაჩენი უკვე დიდი ხანია დამდგარა და შესაძლოა იმ ნამიდანვე, როდესაც პირველი განზრახვა, პირველი ჩანაფიქრი დაიბადა. ნეტავ, სად, სად არის ის ვინრო ნერვი, ის წვრილი ძაფი, რომელსაც ყველაზე დიდი სიფაქიზე, ყველაზე დიდი გაფრთხილება სჭირდება (აღბათ), ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ოდესმე გაგიწყდა, მთელ შენს ცხოვრებას საბედისწეროდ თავდაყირა დაგიტრიალებს...

\*\*\*

საპატიმროდან დამძიმებული გამოვდივარ. სარეცხის საშუალებებს ვყიდულობ. იქვეა წიგნების მალაზია. გულგრილად გვერდს ვერ ვუვლი, შევდივარ და, პირველივე თაროზე, თითქოს საგანგებოდ ჩემთვის დაუდიათო, თვალს მჭრის ლიტერატურული შედეგრი, რომელის სათაურსაც ახლა სულ სხვაგვარად აღვიქვამ, ვიდრე მაშინ, ბავშვობაში, როდესაც პირველად წავიკითხე.

ეს ფიოდორ დოსტოევსკია – „დანაშაული და სასჯელი“.

წიგნს ვიღებ და განსაკუთრებული სიფრთხილით ვფურცლავ, ვითომ რალაცის პასუხს მასში დავეძებდე. ალაგ-ალაგ ვკითხულობ ფრაზებს: „არაფერია უფრო ადვილი, ვიდრე ბოროტმოქმედის განსჯა და არაფერია უფრო რთული, ვიდრე მისი გაგება. მაგრამ გაგება ყოველთვის არ ნიშნავს პატივებს“.

„არაფერია უფრო რთული, ვიდრე მისი გაგება“... „არაფერია უფრო რთული, ვიდრე მისი გაგება“, – ვიმეორებ გონებაში უნებურად რამდენჯერმე და, მართლაც, როგორ გინდა თენგოს გაუგო?!

– ყიდულობთ, გოგონა? – მხარზე ხელს მადებს კონსულტანტი.  
– ?! დიახ, დიახ... რა თქმა უნდა, – ვუპასუხებ გაუაზრებლად და ფულს ვანვდი.

ესეც დოსტოევსკი.  
სარეცხის საშუალებებს წიგნს თავზე ვადებ და საპყრობილეში თენგოს ვუგზავნი.

\*\*\*

შუადღე ძალას იკრებს. დღის 12 საათს 10 წუთია აკლია. სასამართლო პროცესი მალე დაიწყება.

ადვოკატისთვის განკუთვნილ მაგიდასთან ვზივარ და ვაკვირდები, თანდათან როგორ ივსება დარბაზი შავსამოსიანი ადამიანებით. ისინი არიან, ისინი, ვის ახლობელსაც ველარასოდეს დააბრუნებ უკან. უხერხულობის მომენტი თამბაქოს კვამლივით დამტრიალებს თავზე.

„ეს ჩემი პროფესიული მოვალეობაა, ვალდებული ვარ თენგო დავიცვა!“ – ვფიქრობ გულში და უხერხულობის კვამლს მაგიდაზე დანყობილი ფურცლების შრიალით ვფანტავ.

აი, ჩემს საგულშემატკივროდ მოსული ჩემივე კოლეგებიც. თენგოსთან კი არავინ მოდის. საერთოდ არავინ. არავის ადარდებს, რამდენ წელს მიუსჯიან, ან რა ელის ციხეში...

სხდომა იწყება. რამდენიმე წუთი და მოსამართლე დაცვის მხარეს დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისკენ მიმითითებს. მეც, ხმის კანკალით ვიწყებ მთელი ამ დღეების ნანვალბე-ნააზრევის წარმოჩენას. მალე წერვიულობა თანდათან მეხსნება და ერთგვარი აზარტიც მემატება. დროდადრო ჩემი კოლეგებისკენ ვაპარებ თვალს. სიამაყით შემომცქერის კახა. როგორც ჩანს, დასაწყისისთვის არც ისე ცუდი ვარ! შავოსნებს კახას ბედნიერი სახე შეუმჩნეველი არ რჩებათ. არ იცინან, ვინ არის, ვისთან არის. ჰგონიათ, უბრალო მოხალისეა შემოხეტებული და, თანაც, დაზარალებულის მაგივრად, მკვლელობაში ბრალდებულს გულშემატკივრობს. მრისხანედ უბრალებენ თვალს. „თუ პროცესი სწრაფად არ დამთავრდება, შესაძლოა, კიდევ ერთი სიცოცხლის გამოსაღმების მოწმე გავხდეთ. კახა უსათუოდ შემოაკვდება რომელიმეს“, – ვფიქრობ და უნებურად მეღიმება.

პროცესი მთავრდება. გათვალისწინებული სასჯელი მინიმუმია. იმაზე კარგი შედეგი, ვიდრე ველოდი. ჩემი კოლეგები მეხვევიან და პირველ პროცესს მილოცავენ.

პატიმრის გამოსამშვიდობებლად ცოტა დრო მრჩება.  
– სარეცხის ფხვნილი გუშინ მივიღე. კიდევ ერთხელ მაპატიეთ, რომ ასე შეგანუხეთ. მაღლობას გიხდით, გმადლობთ წიგნისთვის. დიდი ხანია, ჩემთვის არაფერი უჩუქებიათ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა. თქვენ კარგი ადამიანი ხართ... მე თქვენ მუდამ მემახსოვრებით...

თვალები მემღვრება.  
საოცარია! თურმე ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზაზეც შეიძლება, რალაც გაუხარდეთ ადამიანებს, – ვფიქრობ და სასამართლოს სწრაფი ნაბიჯით ვტოვებ.

მეც, ყოველთვის მემახსოვრება თენგი – ჩემი პირველი პატიმარი.

## ხატია

ყველა დროის საშინელ დანაშაულთა კატეგორიაში პირველ ადგილს თუ არა, ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილს ნარკოტიკის გასაღება სრულიად მართებულად იკავებს. ასეთი ტიპის დანაშაულები ერთნაირად სძულს პოლიციას, ნარკოდამოკიდებულს, პატიმარს და, მთლიანად, საზოგადოებას. ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი განწყობით გავეშურე წინასწარი დაკავების იზოლატორში, რომ გამეცნო ქალი, რომელსაც ზემოთხსენებულ ქმედებაში ედებოდა ბრალი.

45 წლის.  
ძალიან ღამაზია. ერთი კბილი აკლია და ამის გამო თამამად საუბარი რცხვინია. დროდადრო პირზე ხელს იფარებს და თვალს აქეთ-იქით აცეცებს. ჯერ არ იცის, რომ 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება...

\*\*\*

საავადმყოფოში იწვა, როდესაც მომავალი მეუღლე გაიცნო. საკმაოდ სიმპათიური, სოლოლაკელი კაცი, მთელი თბილისის გოგონების თვალი – გაგა, მეტსახელად „ალენდელონა“. გაგაც სამკურნალოდ მისულიყო. პაციენტებმა საავადმყოფოშივე გააჩაღეს რომანი და გამოჯანმრთელდნენ თუ არა, მალევე იქორწინეს. ორი შვილი ეყოლათ – გოგო და ბიჭი. ულამაზეს წყვილს ერთმანეთი სიგიჟემდე უყვარდა. ყველაფერი საუკეთესოდ მიდიოდა მათ ცხოვრებაში, რომ არა ერთი საბედისწერო დღე. საშინელი ავარიის შემდეგ ორივე შვილი დაეღუპათ. გაგა დაინვალიდა...

ხატია თავი ვერ მოიკლა. ვერ...  
ქმრის მოვლას შეუდგა.

გაგას მძიმე დიაგნოზისა და აუტანელი ტკივილების გამო, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე მორფინი დაუნიშნეს. ხატია პროფესიით ექთანი იყო და თავად უკეთებდა ქმარს მორფინს. ათასი მედიკამენტი სჭირდებოდათ, ათასი წვრილმანი. თავს არ ზოგავდა და წელზე ფეხს იდგამდა ხატია. არანაირ შრომას არ ერიდებოდა. ხშირად ფიზიკურადაც მუშაობდა. რამდენჯერ ჩასძინებია დალილ-დაქანცულს გაუხდელად, ზეზეულად. შემოსავალი კი მაინც მცირე იყო. ძალიან მცირე... და ერთ დღესაც, როცა გაგამ ტკივილის მოთმენა გადაწყვიტა, ხოლო პრობლემებისგან თავმოებურებულმა ხატია მორფინი საკუთარ ნარკოდამოკიდებულ ბიძაშვილს მიჰყიდა, – ბიძაშვილი გზაშივე აიყვანა პოლიციამ!

დააკავეს ხატიაც.

\*\*\*

მხოლოდ საპროცესო შეთანხმება თუ უშველის, – გავიფიქრე და მაშინ პირველად ვულალატე საკუთარ პრინციპებს, როდესაც ეს, ვითომდა „ბარიგა“ ჯერ შემეცოდა, მოგვიანებით კი ძალიან შემეყვარდა.

ხატის საბედისწერო დღეები კი, როგორც ჩანს, წარსულში დარჩენას არ ჩქარობდა. პროცესების მიმდინარეობისას ინვალიდი „ალენდელონა“ გვეწვია. სასამართლო სხდომა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც გაგას ნერვებმა უმტყუნა. ფეხზე წამოიჭრა და არადადამიანური ღრიალი მორთო. აგინებდა და ლანძღავდა ყველას, საკუთარი თავის ჩათვლით. სასამართლო დაცვის თანამშრომლებმა ხელფეხშეკრული გაათრიეს აღრიალებული კაცი.

შესაძლოა, პროკურატურას ამ დღის შეურაცხყოფა გულში ცუდად ჩარჩა, ან ვინ იცის, იქნებ ეს დღე სულაც არაფერ შუაში იყო, მაგრამ მალე, უსაზღვროდ გაცემული დავრჩი, როდესაც გავიგე, რომ ინვალიდი, ხელჯობით ძლივს მოსიარულე, ფაქტობრივად, ნახევრად მკვდარი გაგა „იარალის უკანონო შენახვის“ ბრალდებით იქნა დაკავებული (ნუთუ „ჩაუდეს“) და, თანაც, აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაო ან სხვა მსუბუქი საშუალება კი არა, პირდაპირ პატიმრობა შეეფარდა.

„ალენდელონა“ ორთაჭალაში არსებულ ე. წ. „რეზბალნიცაში“ განათავსეს. შედეგმაც არ დააყოვნა. ხატის საქმე ჯერ ისევ წარმოებაში მქონდა, როდესაც გვაცნობეს, რომ გაგა „რეზბალნიცაში“ გადაყვანიდან რამდენიმე დღეში გარდაცვლილა. გასაკვირი არც იყო. ინვალიდი კაცის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, ავტომატურად, სასიკვდილო განაჩენის ხელმონერას ნიშნავდა...

... – ბედნიერი... ის უკვე ჩვენ შვილებთან არის, – თქვა ხატამ და ტუჩები სიმწრით მოკუმა.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის საქმეზე საპროცესო შეთანხმებას დიდი წვალეების შემდეგ მივალნიეთ.

\* \* \*

ახლა, როცა „ადვოკატის ჩანაწერებს“ ვწერ, 2018 წელია და ამ პერიოდისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმება დიდ სირთულეს მანიცდამინც არ წარმოადგენს, მაგრამ მათ, ვისაც ჩვენს სფეროში არ უმუშავია, მინდა ვუთხრა, რომ საქართველოს სამართლებრივ ისტორიაში იყო გადაბმული ათწლეული, როდესაც გამამართლებელი განაჩენი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. მაგალითად, 2009 წელს – 01% წლის განმავლობაში და ის 01%-ც, მხოლოდ სტატისტიკისთვის, ევროპელების საჩვენებლად.

დიახ, იყო ასეთი დრო! დრო, როდესაც რამდენიმე ბრალის წარდგენის შემთხვევაში, სასჯელები ცალ-ცალკე იკრიბებოდა და 20-25 წელს სასამართლოში კანფეტებივით არიგებდნენ.

საპროცესო შეთანხმებას, რომელიც თავისი არსებით გარკვეული პირობების საფასურად, ბრალდების მხარესთან კანონით გათვალისწინებულ, შედარებით დაბალ სასჯელზე, ან სხვა პროცესუალურ შეღავათებზე შეთანხმებას გულისხმობს, საკმაოდ რთულად, დიდი ძალისხმევითა და ბრძოლის შედეგად ვაღწევდით ადვოკატები. ნორმალურ პირობებზე პროკურატურასთან მოლაპარაკება პროცესის მოგების ტოლფასად გვეთვლებოდა ბრალდებულთა ინტერესების დამცველებს.

დიახ, იყო ასეთი სასტიკი დრო, რომელსაც თავისებური დადებითი მხარეც გააჩნდა. კრიმინალი თითქმის მოისპო და ჩვენი ქვეყანა ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების რიგში თამამად იკავებდა საპატიო ადგილს.

თუმცა...  
სამუდამოდ განწირულ, მრავალრიცხოვან პატიმართა ხარჯზე.

\* \* \*

ხატის გათვალისწინებულზე დაბალი სასჯელი მიესაჯა და მატროსოვის ქალთა ციხიდან რუსთავის სასჯელალსრულებით დაწესებულებაში გადაიყვანეს.

სასამართლოს დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, 28 აგვისტოს, ღამის 2 საათზე მობილურის უწყვეტმა ზარმა გამაღვიძა:

– ღვთისმშობლობას გილოცავ, წმინდა მარიამი გფარავდეს მუდამ, მე შენ ძალიან მიყვარხარ, ეკა.

– მეც!..  
ან, როგორ არ მყვარებოდა ეს, ცხოვრებისგან საშინლად მოძულებული, ჩემი პირველი პატიმარი ქალი!..

ხ ა ტ ი ა...  
\* \* \*

„ხოლო იესომ ზეთისხილის მთისკენ გასწია. დილით კი კვლავ მიბრუნდა ტაძარში და მთელი ხალხი მივიდა მასთან. დაჯდა და ასწავლიდა მათ. ხოლო მნიგნობრებმა და ფარისევლებმა მოიყვანეს ქალი, რომელიც მრუშობისას შეეპყროთ, შუაში დააყენეს და უთხრეს იესოს:

– მოძღვარო, ეს ქალი მრუშობისას შევიპყარი, მოსემ კი რჯულში გვამცნო ამნაირების ჩაქოლვა. შენ რაღას იტყვი?

ხოლო ამას საცდუნებლად ეუბნებოდნენ, რათა ბრალი დაედოთ მისთვის. იესო კი დაბლა დახრილიყო და რაღაცას წერდა მინაზე, მაგრამ რაკი დაუინებოთ ეკითხებოდნენ, წამოიმართა და უთხრა მათ:

– ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად იმან ესროლოს ქვა! მერე კვლავ დაიხარა და მინაზე წერა განაგრძო. ხოლო ისინი, ამ სიტყვების გაგონებისას, უხუცესებიდან მოყოლებული, სათითაოდ გაიკრიფნენ.

დარჩა მარტო იესო...  
და შუაში მდგომარე ქალი...“  
(იოანეს სახარება, თავი მერვე).

სურნელი

ვინრო საკანი... სიგარეტის კვამლი.  
პატიმრები გაუთავებლად საუბრობენ.  
ხანდახან ისეც ხდება, ყველა ერთდროულად ჩუმდება და ფიქრებით ამ საკნიდან შორს მიდიან, ძალიან შორს...

ვინრო სარკმელში მზის სხივი ეცემა.  
სარკმლიდან გზა მოჩანს – დაკლავნილი, ვინრო ბილიკი.  
ამ ბილიკის იქით თავისუფლებაა – ტკბილი და მიუწვდომელი.  
ხვალ, ხუთშაბათია...

ერთი პატიმარი თავისთვის ზის.  
ხვალ ხუთშაბათია...  
„წვერს გავიპარსავ“, – დგება უხმაუროდ. კობტავდება. პატარა უბის ნიგნაკს ხელში იღებს. გაშლის და...

ხვალ ხუთშაბათია... ღამდება...  
ორი დიდი თვალი საკნის ჭერს მისჩერებია. არ ეძინება. „იქ“ ადვილად იძინებდა ხოლმე. „აქ“ ძილი გაუტყდა. „იქ“ შედარებით ცოტას ფიქრობდა, ახლა ბევრს ფიქრობს. ახლა ბევრ რამეს ხვდება. „იქ“ ეგონა, ბევრი ახლობელი ჰყავდა, ბევრი ერთგული. „იქ“ სჯეროდა, ისე უყვარდათ, მისთვის ყველაფერს დათმობდნენ. ეგონა, არ დაივიწყებდნენ, გასაჭირში არ მიატოვებდნენ. „იქ“ ასე ეგონა...

... ერთი კვირის წინ დედა იყო.  
გული ეკუმშება. გაბედულად ვერც კი უყურებს. იცინის, გულგრილ გამომეტყველებას იღებს.

არ უნდა, დედამ იგრძნოს, როგორ სტკივა, როგორ განიცდის, როგორ ველარ უძლებს. არ უნდა!..  
ახლა ყველაზე მეტად უყვარს დედა.  
მხოლოდ დედამ არ მიატოვა. მხოლოდ დედამ კი კიდევ...

ხვალ ხუთშაბათია...  
თენდება...  
პატიმრების ხმაური აღვიძებს.  
დილის 11 საათია...

სარკმლისკენ თვალი გაურბის.  
12 საათია... 13 საათი და 30 წუთი... 35 წუთი...  
ნიკ-ნიკ... ნიკ-ნიკ...

პატიმრები დროდადრო უცქერენ და ელიმებათ...  
დაკლავნილ ბილიკზე წერტილი მოჩანს. წერტილი ნელ-ნელა წინ მოიწევს. ყვითელი კაბა. გრძელი, სწორი, შავი თმა. ხელში საქალაღე. სულ რამდენიმე წუთიც და...

დიდი, რკინის კარი ხმაურით იღება.  
– თქვენთან ადვოკატია.  
სარკმელში იხედება, მაისურს ისწორებს და მირბის.  
მესამე სართული... მეორე...

კიბის საფეხურებზე ხტება. გული უცემს...

\* \* \*

შეხვედრის ოთახი უწინდელი...  
ხის მაგიდა.  
აქეთ თვითონ. იქით – ის.  
სახე სანდო. თვალები თბილი.  
წუთით ავიწყდება, რომ პატიმარია.

– როგორ ხარ? წვერი გაგიპარსავს, გიხდება.  
თვალები უცინის. უნდა, რომ ბევრი თქვას, ძალიან ბევრი, მაგრამ არ შეუძლია. სიტყვა უჩერდება. პირი ეკუმშება.

თავი დახრილი აქვს, მაგრამ ყველაფერს ამჩნევს. სულ ყველაფერს. წუთები სწრაფად მიდიან.  
– ნავიდე?  
ხელს ხელზე ჰკიდებს.  
კარში ერთად, ხელჩაკიდებულნი გადიან, როგორც „იქ“... ადრე...

\* \* \*

საკანში სხვა ენერგით ადის.  
პატიმრები ამტერდებიან.  
ხმას არ იღებს. თვალი სარკმლისკენ ისევ გაურბის.  
ვინრო ბილიკზე პატარა, ყვითელი წერტილი ნელ-ნელა ეფარება თვალს.

ჭადრაკის თამაში. სიგარეტის ბოლი. პატიმრების გაუთავებელი საუბრები.  
ზოგი რას ყვება, ზოგი რაზე მსჯელობს, ზოგს რა სწაღია... ხანდახან, ხდება ისეც, რომ ყველა ერთბაშად ჩუმდება და მაშინ თითოეული მათგანი ფიქრებით ვინრო ბილიკის იქით მიდის.

შორს... აქედან ძალიან შორს...  
თავისუფლების ნათელ ბილიკზე...

\* \* \*

სანოლზე გულაღმა წვება.  
ხვალ პარასკევია, ზეგ შაბათი... კვირა... ორშაბათი... სამშაბათი... ოთხშაბათი... და....  
ხუთშაბათი...

თითები სახესთან ახლოს მიაქვს...  
სურნელი შერჩენია... მისი სურნელი...  
არ უნდა თითები მოაშოროს სახეს. ეს სურნელი ხომ მხოლოდ მას აქვს... აქ... ამ სიგარეტით გამურულ, ვინრო საკანში.

სურნელი, რომელიც მომავალ ხუთშაბათამდე უდნა იმყოფინოს...

გისოსებს მიღმა...

... თავისუფლებიდან ერთი ნაბიჯის იქით, გისოსებს მიღმა, დახურულ სივრცეში იძულებით მოთავსებულ ადამიანთა სამყოფელია... შორიდანვე დაგზაფრავს ამ შენობის დანახვა. თვალს აარიდებ, როგორც საზარელს...

იქ ისინი არიან – თავისი ცხოვრების წესით განსხვავებულნი, „ცუდი ადამიანები“, საკუთარ საკნებში განთავსებულნი, დაღლილნი, დასახიჩრებულნი... ნაწამები სულით, ლოცვად ქცეული სახეებით... დგანან, როგორც კეთროვანნი, სარკმელს მიბჯენილი თვალებით და ელიან... ელიან, ვინ გაიხსენებს... გაიხსენებს კი ვინმე?

მათი ქცევის ნორმა რომ არ იყო სახარბიელო, ეს იციან. ნანობენ, არ ნანობენ, კარგავენ და ზოგჯერ დასაკარგიც აღარაფერი აქვთ...

კეთროვანების ტვირთი დიდია, მძიმეა და მოსაწყენი...

ხანდახან ისეც ხდება, უცებ, ერთბაშად დაავინწყდებათ, სად და რისთვის იმყოფებიან და გულიან სიმღერას შემოსძახებენ, იცინიან და ერთმანეთის ემოციებს ებლაუჭებიან. როგორ ენატრებათ სიხარული, სიტბო, სილაღე... თავისუფლება...

დრო აქ ძალიან ნელა გადის, ნელა და უღიმღამოდ. ნაოჭი ნაოჭს ემატება, ჭლარა – ჭლარას. სამოსი ხუნდება, სულთან ერთად...

ისინი ზღავენ იმისთვის, რაც ჩაიდინეს... ზოგჯერ იმაზე მეტია საზღაური, ვიდრე ეკუთვნით. ზოგჯერ ისეც ხდება, სულაც არ არიან არაფრის ჩამდენნი. უდანაშაულოს დასჯა ყველაზე დიდი დანაშაულია, მაგრამ გისოსებს იქიდან ვის გინდა ადვილად რამე დააჯერო?! რალაცის შეცვლა და დამტკიცება იქიდან ყველაზე რთულია. ამიტომ ითმენენ...

და სწავლობენ თმენას, უსიხარულობასთან ერთად.

ეს ადგილი პატარა გამოსაცდელი ჯოჯოხეთია დედამიწის მიკარგულ ტერიტორიაზე, აგებული იმისთვის, რომ ადამიანებს ადამიანის მიერ დადგენილი კანონების უზენაესობა შეახსენოს.

იქ უნდა გაუძლო! გაუძლო ყველას და ყველაფერს – ცივ, აღმართულ კედლებს, უპირობობას, რეჟიმს. გაუძლო ზედამხედველ ოფიცერს, მის ხასიათსა და განწყობას. გაუძლო შენი თანამოსაკნის ახირებებს, მის მანკიერებებს. გაუძლო შენს სურვილებს, რომელიც არ ახდება. ფიქრებს დაკარგულ, გარეთ მყოფ ახლობლებზე, მათ გულგრილობასა და მონატრებაზე.

იქ უნდა ისწავლო თავისუფლების გარეშე ცხოვრება!

ეს ხომ უჭაერობის ტოლფასია! ეს ხომ ის არის, რაც გახრჩობს, გაცივებს, გკრუნჩხავს და მინაზე მთელი ძალით განარცხებს...

როგორ გინდა, იქ არ შეიცვალო, არ გაბოროტდე, კიდეც მეტად არ გაცუდდე... არ დაემსგავსო მთლიანი რეჟიმის ერთფერად ამოვლებულ საშინელ მასას...

... არც ისე შორს ჩვენგან, თავისუფლებიდან ერთი ნაბიჯის იქით, სადღაც, გისოსებს მიღმა სულ სხვა სამყაროა... მკაცრი, მოქუფრული და პირქუში... პატიმართა სამყოფელი...

დიახ, მათი ცხოვრება არც სამაგალითოა და არც სახარბიელო... დიახ, ისინი ზოგჯერ შესაბრალისნიც კი არ არიან!..

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, თუკი შეძლებ, ამ ჩარაზულ გისოსებს უშიშრად გადააბიჯო და იზოლირებულთ თანასწორად გაუღიმო, თუნდაც, სულ მცირედი კეთილი ღიმილით, – საკუთარი თვალით იხილა:

**როგორ იბადება ხელახლა ადამიანი!..**  
**როგორ იწყებს თავიდან სუნთქვას, სიცილს... პირველ ნაბიჯებს...**  
**ეს ხელმეორედ დაბადების დიდი სასწაულია!**  
**ხილული, დაცემულის წამოსაყენებლად ხელგანვდილი სასწაული,**  
**რომელიც შენს თვალწინ აღესრულება!**

P. S.  
„ვინც გადაარჩინა თუნდაც ერთი ადამიანი, მან გადაარჩინა სამყარო...“



ქეთევან ლომიძე-გელაშვილი ლექსებს ბავშვობიდან წერს. მკითხველის წინაშე გამოტანაზე არც უფიქრია. მის ლექსებში, ბუნების სურათებთან ერთად დიდი სევდაა... შვილმკვდარ დედას საფიქრალსა და ნალველს რა დაუღვეს?! მიუხედავად ამისა, ცხოვრებაზე ხელი არ ჩაუქნევია...  
ლექსები მისი სულის ანარეკლია.  
მურად მთვარელიძე



\* \* \*

ცა

გზა არის ფართო, გზა არის ვიწრო.  
ზოგჯერ სწორი და ხან – ღორღიანი,  
ვის უსასრულო გზა-შარა ინვევს,  
ვინ ლალად დადის, ვინ – ლოლიალით...  
და მაინც, ყველა გზა სადღაც მიდის,  
ვინ წინ ნავა და ვინ უკან რჩება,  
ვის გაუღიმებს ბორბალი ბედის,  
ვინ დაეცემა, ვინ გადარჩება? –  
უფალმა იცის...

წვიმა

წვიმს, ო, მაინც როგორ წვიმს,  
ბელურა შეყუჟულა სადღაც,  
ნიოკობს, შესცივდა ალბათ,  
იშვილა შემოდგომის ბაღმა...  
წკარუნობს წვეთები წვიმის,  
წვეთები – ცელქი და მჟღერი,  
ხის ტოტებს მძივებად ასხამს,  
თავისთვის რალაცას მღერის.

\* \* \*

ცხოვრება დამლღელი  
გზა არის ქარავნის,  
რომელიც მიათრევს  
თავის წილ საპალნეს,  
ვინც ზიდავს, – წინ ნავა,  
ვინც ვერა – წააქცევს...  
რას იზამ, ბედია!  
ეცადე, გააღწე!

\* \* \*

ზამთრის ბაღები  
ჰკიდია ცაზე,  
ყინვამ დაუბრანა  
ლოყები მთვარეს.  
თოვლის დედოფალი  
ტახტზე დააბრძანეს,  
ზეცის მპყრობელნი ხართ...  
შეეყურებ ღამეს.

\* \* \*

ისევ დააბრუნეთ ვარსკვლავები ცაზე,  
სავსე მთვარე და ბრდღვიალა მზე,  
ვარდის კოკრების აფეთქება  
და გვირილების დღე...  
ცაცხვების სურნელი მიჰყვება გზას,  
ჩიტები ბუდეს ევლებიან თავს,  
სტრიქონი კვლავაც სტრიქონს მიჰყვება  
და... გაიღვეა გზაც.